



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	სატრანსპორტო ლოგისტიკა Transport Logistics
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	მაგისტრი სატრანსპორტო ლოგისტიკაში Master in Transport Logistics
ფაკულტეტის დასახელება	საინჟინრო-ტექნიკური
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	თეიმურაზ კოჩაძე - პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 120 კრედიტი; სწავლება მიმდინარეობს ოთხ სემესტრში;
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	24 ნოემბერი 2019 წელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე შემსვლელს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (ტრანსპორტის, ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმატიკის და სხვა მომიჯნავე სფეროებში) დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი და საქართველოს მოქალაქეებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, (ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში) რომელიც ანიჭებს მას უფლებას ჩააბაროს მისაღები გამოცდა არჩეულ სპეციალობაში ნებისმიერი ავტორიზებული უნივერსიტეტის შესაბამის აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაზე.</p>	
პროგრამის მიზნები	
<p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაღრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობა ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-მმართველობითი და პედაგოგიური საქმიანობა. პროგრამა უზრუნველყოფს სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომელთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებათა ერთიანი ლოგისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა კონკრეტულ ბიზნეს გარემოში.</p>	
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> 1. ფლობს დრმა სისტემურ ცოდნას სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პროცესების განვითარების პროგნოზირების შესახებ და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება. 2. იცის მიწოდებათა ერთიანი ჯაჭვის ლოჯისტიკური მენეჯმენტის უახლესი მიღწევები, რომლებიც მოიცავს სატვირთო და მგზავრთნაკადების მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო მეთოდების გენერირების პროცესს, აგრეთვე ტრანსპორტირების პროცესში წარმოშობილი ავარიული შემთხვევების იდენტიფიცირების და მათი დაძლევის გზების გადასაწყვეტად ორიგინალური იდეების განვითარებას. 3. ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების მოდელირების ინოვაციური პრინციპების ცოდნა უქმნის მდგრად საფუძველს ტექნიკურ-

	<p>ინტელექტუალურ სისტემებში მიმდინარე მოვლენების პროგნოზირებისათვის, მათი ხრისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის.</p>
<p>უნარები</p>	<p>4. საფუძვლიანად აღწერს სატრანსპორტო მომსახურების საბაზრო მოდელის პარამეტრებისა და კრიტერიუმების მოქმედების მექანიზმებს, სატრანსპორტო პროცესის მართვის ტექნიკას და ტექნოლოგიას, უსაფრთხო სატრანსპორტო გადაზიდვებზე მოთხოვნის წარმოქმნის სპეციფიკას.</p> <p>5. გადამზიდავი კომპანიის გასული და მიმდინარე პერიოდის ლოგისტიკური მენეჯმენტის განზოგადების საფუძველზე დამოუკიდებლად ირჩევს კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური და უსაფრთხო მოძრაობის პრობლემების გადაჭრის ორიგინალურ გზებს და სახავს მათი რეალიზების ეფექტურ კრიტერიუმებს.</p> <p>6. ახდენს სატრანსპორტო ბიზნეს-გარემოში რისკების მართვის ორგანიზაციას, კონტროლს, და რისკების მართვის ეფექტიანობის შეფასებას;</p> <p>7. შეუძლია დაამუშაოს მმართველობითი გადაწყვეტილებების ვარიანტები და შეარჩიოს ოპტიმალური არჩევანი გამომდინარე სატრანსპორტო გადაზიდვების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკოლოგიური და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კრიტერიუმიდან.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>8. ახდენს პროფესიული პასუხისმგებლობით და ავტონომიურობის სათანადო ხარისხით ბიზნეს-პროცესების მართვას სატრანსპორტო გადაზიდვების სწრაფად ცვლად გარემოში;</p> <p>9. იცავს პროფესიული ან/და აკადემიური ქვეყის წესებსა და ეთიკის პრინციპებს, ობიექტურად აფასებს საკუთარ და სხვების ქმედებებს;</p> <p>10. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატურად შეფასებასა და გააზრებაზე თავისი საქმიანობის მაღალი ეფექტურობის მისაღწევად და ასევე, ავტონომიურად გეგმავს შემდგომ სწავლას და პროფესიულ განვითარებას.</p>
<p>სწავლების მეთოდები</p>	
<p>თეორიული მასალის გადაცემა, კითხვა-პასუხის სესია, დისკუსია, კვლევითი ჯგუფი, დებატი, საქმიანი თამაშები, ბიზნესსიმულაციები, ჯგუფური განხილვები, პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები და პროექტის შემუშავება.</p>	
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	
<p>პროგრამა შედგება ორი კონცენტრაციისაგან; თითოეული მათგანი შეიცავს:</p> <p>ა) ძირითად კურსებს - 55 – 55 კრედიტი;</p> <p>ბ) ორივე კონცენტრაციისათვის საერთო სავალდებულო კურსებს და პრაქტიკებს - 25 კრედიტი;</p> <p>გ) ორივე კონცენტრაციისათვის არჩევით კურსებს - 20 კრედიტი (აირჩევა 10 კრედიტი);</p> <p>დ) ორივე კონცენტრაციისათვის სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.</p> <p>სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!</p> <p>იხ დანართი 1.</p>	
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/</p>	
<p>სტუდენტის საბოლოო შეფასებების მიღება (გარდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა) ხდება სემესტრის მანძილზე მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს: შუალედურ შეფასებას, გამოცდას - 30 ქულა, შუალედურ შეფასებას (სტუდენტის დაგეგმილი აქტივობის შეფასებას) - 30 ქულა და დასკვნით შეფასებას, გამოცდას - 40 ქულა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენცია დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად არ უნდა იყოს 18 ქულაზე ნაკლები (შესაძლო 60 დან). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენცია უნდა იყოს 15 ქულა (შესაძლო 40 დან).</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p>	

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასება 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები სხვადასხვა კურსისათვის განსხვავებულია და კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები იხ. კონკრეტული კურსის სილაბუსში.

შეფასების ფორმები- შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;

შეფასების კომპონენტები- შეფასების ფორმის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და კომპეტენციის შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პრაქტიკული /თეორიული სამუშაო და სხვა).

შეფასების მეთოდები-სასწავლო კურსით/კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებული საშუალებები (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა).

შეფასების კრიტერიუმები- შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად ნაშრომის საჯარო განხილვისათვის შექმნილი კომისიის მიერ ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემის მიხედვით

დასაქმების სფეროები

1. ტვირთების და მგზავრთა ნაკადების უნი, მულტი, ინტერმოდალური და კომბინირებული გადაზიდვებით დასაქმებული სატრანსპორტო, გადამზიდავი, ექსპედიტორული და სატრანსპორტო ლოჯისტიკური ფირმები;
2. სატრანსპორტო საშუალებების საფირმო მომსახურების და სადღეღამისო სერვის ცენტრები, სალიზინგო, სადილო და სადისტრიბუციო საწარმოები;
3. საწვავ-საცხებები მასალების სადისტრიბუციო ფირმები , გასამართი სადგურები;
4. საპატრულო პოლიციის და ავტოსაგზაო შემთხვევების საექსპერტო სამსახურები;
5. ტრანსპორტის სადაზღვევო კომპანიები;
6. ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარებისა და მოძრაობის ორგანოზაციის განყოფილებები;
7. შსს-ს მომსახურების სააგენტოები;
8. ტრანსპორტის სფეროს მარეგულირებელი კომისიები;
9. პედაგოგიური საქმიანობა ტრანსპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
2. ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი დამხმარე მეთოდური მასალები;
3. საინჟინრო-ტექნიკური მიმართულების (მათ შორის ტრანსპორტის) ტექნოლოგიური კაბინეტ-

ლაბორატორიები;

4. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები;

5. მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი ტექნიკით გაწყობილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიები;

6. პროფესიული ინტერნეტ-საიტების გაცნობის, მიმოხილვის და ანალიზის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებული აკადემიური სტუდენტისათვის;

საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა:

სტუდენტთა პრაქტიკის ბაზებს წარმოადგენენ:

- კომპანია თეგეტა მოტორსი-ქუთაისი;
- შპს სოფმარი; (ქ.ფოთი)
- შპს ლოჯისტექსი; (ქ.ფოთი)
- შპს სოვტრანსავტო, (ქ.ფოთი)
- ქ.ბათუმის და ფოთის პორტები და ტერმინალები;
- კოპიტნარის აეროპორტი.
- კომპანია DHL.

რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები და ხელშეკრულებები.



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა 2020-2022წ.წ
 პროგრამის დასახელება: სატრანსპორტო ლოჯისტიკა
 მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მაგისტრი სატრანსპორტო ლოჯისტიკაში

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/ჯგ	სემესტრი (საათი კვირაში)				დამატებითი წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შეუღებელი კვებითი							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	18
1	კონცენტრაცია 1. მიწოდებათა ჯაჭვის მართვა											
I.1	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები – I	10	250	90	2	158	30/30/30/0	10				
I.2	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები - II	10	250	90	2	158	30/30/30/0		10			1.1
I.3	სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი	5	125	45	2	78	30/15/0/0	5				
I.4	მულტიმოდალური გადაზიდვები	10	250	90	2	158	30/30/30/0			10		1.2; 3.3
I.5	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	10	250	90	2	158	30/30/30/0			10		1.2; 1.3
I.6	აუტოსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში	10	250	90	2	158	45/45/0/0		10			
I.7	სამაგისტრო ნაშრომი	30			2						30	
	სულ	85										
2	კონცენტრაცია 2. ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები საგზაო მოძრაობაში											
2.1	სამარშრუტო ორიენტირების სანავიგაციო სისტემები	5	125	45	2	78	30/15/0/0	5				
2.2	სატრანსპორტო ნაკადების თეორია	10	250	90	2	158	45/45/0/0		10			
2.3	საგზაო მოძრაობის მოდელირება	5	125	45	2	78	15/30/0/0/		5			
2.4	საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	10	250	90	2	158	45/45/0/0			10		
2.5	მოძრაობის ავტომატიზირებული მართვა	5	125	45	2	78	15/30/0/0		5			
2.6	საგზაო სატრანსპ. შემთხვევების კომპლექს. ანალიზი	10	250	90	2	158	60/30/0/0			10		

2.7	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა	10	250	90	2	158	45/45/0/0	10				
2.8	სამაგისტრო ნაშრომი	30			2							
	სულ	85										
3	სავალდებულო საგნები ორივე კონცენტრაციისათვის											
3.1	პედაგოგიური ფსიქოლოგია	5	125	45	2	78	15/30/0/0	5				
3.2	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	5	125	45	2	78	15/30/0/0		5			
3.3	მათ. მოდელირების მეთოდები ლოჯისტიკურ მენეჯმენტში	5	125	45	2	78	15/30/0/0	5				
3.4	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	5	125	45	2	78	0/45/0/0		5			
3.5	სამეცნიერო-კვლევ(პროფეს) პრაქტიკა	5	125	45	2	78	0/45/0/0			5		
	სულ	25										
4	არჩევითი კურსები (პირველ სემესტრში აირჩევა 5, ხოლო მესამეში 5 კრედიტი)											
4.1	სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	5	125	45	2	78	15/30/0/0	5				
4.2	ტრასეკა და ევრაზიის სატრანსპორტო სისტემები	5	125	45	2	78	30/15/0/0	5				
4.3	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მენეჯმენტი	5	125	45	2	78	15/30/0/0			5		
4.4	სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი	5	125	45	2	78	30/15/0/0			5		
	სულ არჩევითი	20										
	სულ პროგრამის	120										